ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№7, 29 ივლისი, ორშაბათი, 2019 წელი

ხაშურის თოჯინების თეატრი

გილოცავთ!

2019 წლის ივნის-ივლისში, ქობულეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალიდან – **„მზიანი საქართველო"** და **„ნარინჯისფერი ქობულეთი"** ხაშურის სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივი გამორჩეული წარმატებით დაბრუნდა.

ქორეოგრაფიული ანსამბლების – **„ფრესკა"** და **„ოქროს ფარი"** გარდა, სამი თეატრალური ჯგუფი: **ხაშურის თოჯინების თეატრი, „ახალგაზრდული დასი"** და **„აკვარიუმი"** განსაკუთრებული ნომინაციების მფლობელი გახდა.

ვულოცავთ წარმატებებს შემოქმედებით ჯგუფებს და კიდევ მრავალ, სასიამოვნო დღეს ვუსურვებთ საზოგადოებრივ და პირად საქმიანობაში.

საბავშვო თეატრალური წრე **„აკვარიუმი"**

ანსამბლი **„ფრესკა"**

ანსამბლი **„ოქროს ფარი"**

პროზა

ლიდა ლანელია

პირჩე

(ვუძღვნი ჩემს შვილიშვილს – ამერიკაში დაბადებულსა და გაზრდილ მარიამს, რომელიც ამჟამადაც იქ ცხოვრობს, ქართული ენა კარგად არ იცის, მინდა, უკეთესად ისწავლოს.)

ინათა თუ არა, თამთამაც გაიღვიძა. ღამით შფოთიანად ეძინა, სიცხემ ძალიან შეაწუხა. ქალაქში ყოფნა, თანდათან, შეუძლებელი ხდებოდა. ლოგინიდან წამოხტა, თმა შეისწორა და იქვე, სარკის გვერდზე ჩამოკიდებულ კალენდარს ერთი ფურცელი აახია.

– ივლისი, ბაბუ, ყველაზე ცხელი თვეა, მას მკათათვე ჰქვია, რაც ალოობას, იგივე, პურის ყანის აღებას უკავშირდება. გაახსენდა ბაბუის ნაამბობი და გულმა სოფლისკენ, მშობლიური სანახებისკენ, მოხუცების სანახავად მოანდომა წასვლა. ჩაფიქრებულმა, ვერც კი შეამჩნია, თუ როდის შემოვიდა დედა საძინებელში.

– შენ ხომ დილის ძილი გიყვარს, ალბათ, სიცხემ არ დაგაძინა, – მიეალერსა დედა.

– სოფელში როდის წავალთ, დეე, მენატრებიან ჩვენები, თანაც, უბნის ბავშვები სულ გაიკრიფნენ.

– მამა სამსახურის საქმეებს მოაგვარებს, ერთი კვირით შვებულებას აიღებს და წახვალთ. ხელ-პირი დაიბანე, ისაუზმე, ტანსაცმელი მოვაწესრიგოთ. რაღაცები საყიდელი გვაქვს, საჩუქრებიც ხომ უნდა შევურჩიოთ ბებიას და ბაბუას, აბა სწრაფად, ჩემო სიცოცხლე.

თამთამ ლოგინი ჩვეული სიდინჯით აალაგა. ,,ლოგინის დალაგებას რომ დაიწყებ, პირველ რიგში, ზეწარი უნდა აიღო, გარეთ გაიტანო და კარგად დაბერტყო, მერე ლეიბზე გაასწორო, გვერდები კოხტად ამოუკეცო" – გაახსენდა ბებიის ნათქვამი. ერთხელ კიდევ გადახედა თავის დალაგებულ ლოგინს და პირსაბანს მიაშურა.

საუზმის შემდეგ, დედასთან ერთად, საყიდლებზე ქალაქში გასულ თამთას ბებიისთვის ლამაზი წინსაფრის და ჩუსტების, ხოლო ბაბუისთვის ჭილის ქუდის ყიდვა არ დავიწყნია. საღამოს ყველაფერი სამგზავრო ჩანთაში კოხტად ჩაალაგა, მამის ნაყიდი ჰამაკიც მოიძია და მშვიდად ამოისუნთქა.

და, აი, ნანატრი დღეც დადგა. მამამ შვებულება აიღო, მატარებლის ბილეთებიც შეიძინეს. მატარებელში რომ ჩასხდნენ, თამთამ მამას უჩურჩულა: ,,მამი, მალე მინდა, ჩავიდე..."

მატარებელი დასავლეთისკენ მიაქროლებდა მგზავრებს.

აუტანელი სიცხე იდგა, თითქმის ყველას გაზეთი ეჭირა ხელში და ინიავებდა.

– ამას ხომ ავტობუსით მგზავრობა სჯობდა! – საყვედურობდა ვიღაც ახმახი მორჩილად მჯდომ მანდილოსანს. – რომ არ იცი დაჯერება, უკვე ჩასულები ვიქნებოდით, იჩაქჩაქე, ახლა, მთელი ღამით ოფლით გაჟღენთილი ვაგონით. ტფუი!

ქალმა უხერხულად გადაავლო თვალი ვაგონში მსხდომთ.

მიუხედავად გაუსაძლისი სიცხისა, მამას ჩასთვლიმა, თამთა კი, ვერა და ვერ ახერხებდა დაძინებას. წარმოიდგინა, თუ როგორ ელიან მოხუცები, როგორ შემოეგებება წელში მოხრილი ბაბუა, როგორ ჩაიკრავს გულში ბებო, თვითონ კი, შურდულივით გავარდება ბოსტანში, ყანაში, ქართაში, სადაც ბაბუას წვრილფეხი ჰყავს დაბინავებული, და ნახავს თავის საყვარელ ,,პირჩეს", ახლა უკვე გაზრდილს, საოცრად ლამაზს. მისი სუნთქვა თითქოს აქვე, ახლოს შეიგრძნო... თამთასაც ჩასთვლიმა, მატარებელი კი, ბორბლების ჭრიალით მიიზლაზნებოდა დასავლეთისკენ.

– თამთა, გაიღვიძე, – ფრთხილად დაადო ხელი მამამ მძინარე ბავშვს. გათენებულიყო, ხალხი გასასვლელისკენ მიეშურებოდა. თამთა სწრაფად წამოხტა.

– ნუ ჩქარობ, ფრთხილად, არ გადმოვარდე, ჯერ დრო გვაქვს, – უთხრა მამამ, ჯერ კიდევ, ძილ-ღვიძილში მყოფ გოგონას.

– სოფელი მაინც სულ სხვაა, – სიგარეტს ქაჩავდა ვიღაც მელოტი და სხვებისთვის გასწრებას ცდილობდა. – სხვა ჰაერი, სხვა ხალხი, სხვა მონატრება.

– სადაური ბრძანდებით, ბატონო?

– აბა, გაგვატარეთ, ჩავდივართ.

– ჩვენც ჩავდივართ, აქ კი არ ვრჩებით, შე კაი კაცო, – ხუმრობდა ვიღაც. ეს ყველაფერი, ისეთი ნაცნობი იყო, თითქოს კადრები მეორდებოდა.

მატარებლიდან ჩამოსულებს ისეთი სიგრილე დახვდათ, მამა-შვილს გამოცოცხლება დაეტყო.

– აბა ჩქარა, ავტობუსს მივუსწროთ, მერე მანქანას ავიყვანთ და, სულ რაღაც, ორ საათში სახლში ვიქნებით. – გაამხნევა თამთა მამამ.

ავტობუსი ხალხით იყო გადაჭედილი, უფრო მეტი კი, კალათები და ბარგი ელაგა. ბაზარზე მიჰყავდათ ყველაფერი, რაც გასაყიდად ემეტებოდათ: იხვი, ბატი, ქათამი, ინდაური, გოჭები. მამამ ბარგს ძლივს მოუძებნა ადგილი. ცოტა ხანში ვიღაცამ ჩემოდანზე კვერცხებით სავსე კალათა შემოასკუპა, რომელსაც ლეღვის ფოთლები ჰქონდა გადაფარებული.

– დღეს ხომ კვირაა, ბაზარზე მიაქვთ გასაყიდად, ერთ რაღაცას რომ გაყიდიან, იმ ფულით იმას შეიძენენ, რაც უფრო მეტად სჭირდებათ. ასეა გლეხი კაცის ცხოვრება. – ხმადაბლა უთხრა თამთას მამამ. ამასობაში დაიძრა დამძიმებული და გადატვირთული ავტობუსი. მგზავრები ცოტათი გამოცოცხლდნენ. აქამდის უსიტყვოდ მსხდომნი, ერთმანეთს გამოელაპარაკნენ. ერთმა მეორეს ღვეზელი შესთავაზა, ვიღაცამ პატარა ყანწში ორნახადი არაყი ჩამოასხა. მამა ყველაფერს ღიმილნარევი სიდარბაისლით უყურებდა. ასეთი ღიმილიანი, გაბრწყინებული თვალებით მამა, დიდი ხანია, თამთას არ ენახა. ახლა კი მიხვდა, თუ რატომ ამოაყოლებდა გულს ოხვრას სოფლის ხსენებაზე. რაც მის გარშემო ხდებოდა, მშობლიური იყო, ათასჯერ განცდილი. ეს ცა, ეს მიწა, გზა-შარა ახალგაზრდობას, სტუდენტობას, განვლილ დროს ახსენებდა მამას.

– როგორც იქნა, მოვედით! – წამოიძახა წინა რიგებიდან ჭაღარათმიანმა ქალმა. როგორც გაირკვა, ის მგზავრობის ფულის ამკრეფი ყოფილა. მამა-შვილმა ფული გადაიხადა, ავტობუსიდან ჩამოვიდა და იქვე მდგომ მძღოლებისკენ გაემართა.

გზა, მართლაც, დამღლელი იყო, მესამე ტრანსპორტით უწევდათ მგზავრობა. რატომღაც, ყველაფერი შეცვლილი ეჩვენა თამთას: მწვანე ღობეები, კოპწია ოდა-სახლები, დაგვილ-დავარცხნილი, კოინდრიანი ეზოები, სურო შემოხვეული აკაციის ტანმაღალი ხეები, შუკები და მოკირწყლული შარა-გზა. რაც უფრო უახლოვდებოდნენ სოფელს, მით უფრო მძაფრდებოდა მოგონებები. მძღოლი მეტად სიტყვაძუნწი გამოდგა, იჯდა უბრად და, დროდადრო, სიგარეტს ქაჩავდა.

– რა გვარის ოჯახში მიბრძანდებით? – როგორც იქნა, ამოღერღა მეგრულ კილოზე. მამამ გვარ-სახელი და, სად უნდა გადაეხვია, მეგრულად აუხსნა. მძღოლმა სვლა შეანელა და რიხიანად მიუბრუნდა მამას:

– ასე გეთქვა, შე კაცო, მე ქორთუები მეგონეთ.

– ჩვენ, ყველანი ქორთუები ვართ, ბატონო ჩემო, – სიცილით მიუგო მამამ.

ამის შემდეგ დაიწყო გამოკითხვა – ვინ, სად, როგორ, რანაირად ცხოვრობდა. საერთო ნაცნობებიც აღმოაჩნდათ. მამა უფრო მეტად გამხიარულდა. როცა მანქანა დიდ ჭიშკართან გაჩერდა და, მოვედითო – თქვა მძღოლმა, საუბრით გართული თამთა უცებ მოეგო გონს. მანქანის კარი სწრაფად გამოაღო, და ალაყაფის კარს მიადგა. აი, ის, საოცნებო აკაციის გრძელი შუკა, პატარაობიდანვე რომ ხიბლავდა, შუაში ვიწრო ზოლივით მიუყვებოდა საცალფეხო ბილიკი. გარშემო მწვანე ციტრუსის ლამაზად შეკრეჭილი ღობე ჰქონდა შემოვლებული, ამ ღობეს პატარა ზომის, მანდარინის მსგავსი ნაყოფი ესხა. შორს ოდა სახლი მოჩანდა, წითელი კრამიტით გადახურული, ღია ჩუქურთმებით შემკული აივანი, ეზო – უშველებელი, მწვანე კოინდრით და ხეხილით. თამთას მამა და მძღოლი გადაავიწყდა, ის უკვე შუკაში სირბილით გარბოდა, თან ხმამაღლა გაჰყვიროდა:

– ბებია, ბაბუა, მე ჩამოვედი!

ეზოში ძაღლები აყეფდნენ, ქათმები დაფრთხნენ და აკრიახდნენ.ბებია სამზადიდან ფეხაკრეფით გამოვიდა და წინსაფარი ჩამოიბერტყა, თვალზე ხელი მოიჩრდილა და ძაღლს, რომელიც ისევ ყეფდა, შეუტია.

– ბებიიი! – თამთამ ბებიას წელზე ხელი შემოხვია. ნაცნობი სურნელი იგრძნო, დაძარღვული და თბილი ხელები... ბებია თითქოს დადუმდა, ეფერებოდა მის გაზრდილს, უკოცნიდა თვალებს, ხელებს, თმას. ასეთი მოფერება მხოლოდ მრავალ ჭირგამოვლილ, შრომით და ჯაფით დაღლილ ადამიანებს ახასიათებთ. როცა გული იჯერა, ბებიამ უკან დაიხია.

– შვილო, როგორ გაზრდილხარ და დამშვენებულხარ!

– ბაბუა? ბაბუა სად არის, ბები? – იკითხა თამთამ.

– სად იქნება? – ბოსტანში, დღე და ღამე შენს მოლოდინშია. გაიქეცი, გაეხარდება შენი ჩამოსვლა...

ბაბუამ და შვილიშვილმა ერთმანეთის მოფერებით გული იჯერეს. თამთამ ხეზე აცოცებული რამდენიმე ლორთქო კიტრი ჩამოწყვიტა, მერე, როგორც ბებია ასწავლიდა, მობიბინე უცხო სუნელს ნაზად ხელი გადაუსვა, დაყნოსა და თავისთვის ჩაილაპარაკა: ,,ჯერ ადრეა". იქვე, ბუსუსებიანი, ვეებერთელა ნესვები ნახა წამოკოტრიალებული. გაოცება ვერ დამალა. ასეთი დიდი ზომის ნესვი არ ენახა.

– ეს ახალი ჯიშია, ბაბუ, ამის თესლი მენჯიდან ჩამოვიტანე. ჩავაციოთ, ნახავ, როგორი გემრიელია.

სიძე-სიმამრის განსაკუთრებული შეხვედრა თამთას არ გაკვირვებია. მათ ოჯახში ტრადიციები და ურთიერთპატივისცემა ყოველთვის ფასეული იყო და სტუმართმოყვარეობით მთელს რაიონში სამაგალითო. თამთა კი, იმ ასაკში იყო, სიამაყით რომ აღიქვამდა ამ ყველაფერს.

გვიან ღამემდე უსხდნენ სუფრას. რას არ იხსენებდნენ, ბევრი სადღეგრძელოც შეისვა, განსაკუთრებით, დიდ სამამულო ომში დაღუპულთა.

ბაბუა თამთას კიდევ უფრო მოტეხილი ეჩვენა. ერთ დროს ულამაზესი კაცი, რომელიც მხოლოდ სურათებიდან იღიმოდა უდარდელად, წლებს და სიბერეს დაეჩრდილა.

– გვიანია, დაღლილები ხართ, – გაუძღვა ოდა-სახლისკენ ბებია მამა-შვილს.

– მე შენს ოთახში მინდა, ბები, – შეახსენა თამთამ.

ღამე იყო მთვარიანი, ჩუმი, უქარო, მშვიდი. ეძინა ჯაფისგან დაღლილ სოფელს...

მეორე დილით ბებიას სუფრა უკვე გაეშალა. ცხელ, კეცის ხაჭაპურებს ოხშივარი ასდიოდა, რძე ქვაბში ამოფუყულიყო და გადმოსვლას ლამობდა, ცვრიანი, ლორთქო კიტრები სუფრაზე თავს ინონებდნენ, პიტნაში ჩაზელილი სულუგუნი რძეში ტივტივებდა. ბაბუამ მაგიდაზე ორნახადი ჭაჭის არაყი და პატარა სასმისები შემოდგა. სასიამოვნო ნიავი ქროდა, თამთამ გაიხსენა, უცებ ამოვარდნილ ქარს ,,ზღვაურს“ რომ უწოდებდა ბაბუა. აქ ხეხილი სიმაღლეში იზრდებოდა, იხუნძლებოდა უგემრიელესი ნაყოფით, მაგრამ, რატომღაც, ზამთარში ვერ ინახავდნენ. როცა ძირს ჩამოვარდებოდა, ნაყოფი სკდებოდა. პატარაობისას, თამთას ბევრჯერ უტირია – ვაშლი მომკვდარაო. ახლა, ამ ყველაფერს ღიმილით იგონებდა. საუზმის შემდეგ თავის ,,პირჩეს" მიაკითხა ქართაში.

,,პირჩე" ბაბუამ შეარქვა. ზედ შუბლზე გულის ფორმის თეთრი ნიშანი ჰქონდა წაბლისფერ ფურს, ლამაზი ცხვირ-პირი, ბრიალა, შავი თვალები და წვრილი ფეხები. ამ ჯიშს, რატომღაც, ,,მეგრულას" უწოდებდნენ.

,,პირჩე" გასულ წელს ისე შეეჩვია თამთას, სადაც უნდა ყოფილიყო, ჭილოფზე წამოწოლილი, ყანაში ტაროების მოსატეხად შესული, თუ ბოსტანში, – ყველგან თან დაჰყვებოდა. ლამაზი, ჭკვიანი თვალებით მიაშტერდებოდა ხოლმე. თამთაც მარილს დაიყრიდა ხელისგულზე, ხაოიანი ენით აულოკავდა ,,პირჩე". ხაოიანი ენის შეხება ეხამუშებოდა თამთას, მაგრამ ძალიან უნდოდა, რაღაცით ესიამოვნებინა მისთვის.

ქართაში შესულს, სულ სხვანაირი ,,პირჩე" დახვდა, – თვალის გუგები გაფართოებოდა, უფრო გაზრდილიყო და საოცრად გაბერილი მუცელი ჰქონდა. დინჯად იდგა და იცოხნებოდა, დროდადრო, კუდით იგერიებდა აბეზარ ბუზებს. თამთა მუცელზე ხელით შეეხო, მოეფერა, მერე თავზე ხელი გადაუსვა.

– ჩემო ,,პირჩე", ნუთუ, ვერ მიცანი? როგორ მომენატრე, რომ იცოდე. გახსოვს, მარილს რომ გაჭმევდი? ცივ წყალს გასმევდი, სულ ჩემთან იყავი. ,,პირჩეს" ნესტოები დაბერვოდა და ხშირად სუნთქავდა, ბეწვიც ძველებურად აღარ უბზინავდა, დაღლილი ჩანდა. თამთამ მხარზე ხელის შეხება იგრძნო.

– რაო, ბაბუ, ვერ გაგიხსენა შენმა ,,პირჩემ"?

– როგორ არა, ბაბუა, ხელებიც კი ამილოკა, მაგრამ ძალიან დაღონებულია. ცრემლიანი თვალები რატომ აქვს?

– რა ქნას, შვილო, მაკედ არის, ცხელა და ნახირში არ ვუშვებთ, აქ არის, ამ ქართაში გამომწყვდეული, მუცელი უკვე დაშვებული აქვს, ალბათ, მალე მოიგებს. აი, რომ მოიგებს, პატარას სახელს შენ დაარქმევ და შენი საჩუქარი იქნება. შენ რომ დაგინახა, სიხარულით ატირდა, – იხუმრა ბაბუამ.

,,საინტერესოა, შვილი როგორი ეყოლება? – გაიფიქრა თამთამ. წამოსვლა რომ დააპირა, ,,პირჩე" მისკენ შემობრუნდა. თამთამ იქვე მდგარ ვედროს დაავლო ხელი, ჭიდან წყალი ამოიღო და ,,პირჩეს"დაუდგა, თვითონ იქვე, გადაჭრილ მორზე ჩამოჯდა. საქონელი წყალს ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით სვამდა. ,,პირჩემ" თამთასკენ გაიწია, მუხლებზე შემოხვეულ ხელებს, მუხლებს და თითებს ულოკავდა სველი, ხაოიანი ენით.

ერთმა კვირამ მალე გაირბინა. მამამ მოინახულა სოფლის სანახები, ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები. გული წყდებოდა, რომ ამ ყველაფერს უნდა შელეოდა, მაგრამ სხვა არჩევანი არ ჰქონდა – ოჯახი, სამუშაო თავისას ითხოვდა. მძღოლი დაბარებულ დროს მოვიდა. ბებიას უამრავი რამ ჩაელაგებინა, თან, თავსაფრის ბოლოთი ლოყაზე დაგორებულ კურცხალს შეუმჩნევლად იწმენდდა.

– ჩემი წასვლის დროა, – თქვა მამამ. თამთა, ბებიას და ბაბუას მიხედე, შვილო.

მამამ ყველა გადაკოცნა და საკმაოდ მოძველებული მანქანა გაუყვა სოფლის შარა-გზას.

უეცრად, რაღაც ზმუილის მაგვარი ხმა შემოესმათ. მომეჩვენაო – გაიფიქრა თამთამ. ზმუილი უფრო მკვეთრად ისმოდა. ბაბუამაც ცქვიტა ყურები. ,,პირჩე"! – წამოიძახა ბებიამ და ყველანი საქონლის სადგომისკენ გაემართნენ.

,,პირჩეს" თვალები უფრო გაფართოებოდა, სწრაფად გადაადგილდებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე. ბაბუამ თივა შემოიტანა და გაშალა, წყალიც დაუდგა, მაგრამ საქონელი არაფერს ყურადღებას არ აქცევდა და აღარც ბუზების მოგერიების თავი ჰქონდა. გასაგები იყო, მუცელი სტკიოდა, ადგილს ვერ პოულობდა, ეს მისი პირველი მშობიარობა იყო, ამიტომ, შესაძლოა, დახმარება დასჭირვებოდა. თამთა გარინდული იდგა, არ იცოდა, რა გაეკეთებინა.

ბაბუა ვეტექიმის მოსაყვანად წავიდა. ბებია და თამთა პატარა ჯირკოებზე ჩამოსხდნენ და უყურებდნენ, როგორ საცოდავად ბორგავდა ,,პირჩე".

ვეტექიმმა, საგანგაშო არაფერია, თუ დახმარება იქნება საჭირო, მაშინვე აქ გავჩნდები, თქვენგან არც ისე შორს ვცხოვრობო.

,,პირჩე" შუადღემდე წვალობდა, მერე თითქოს დაიღალა, თივაზე მოკალათდა. დროდადრო, გაფართოებული თვალებით ყველას გადახედავდა. ეზოში სამარისებური სიჩუმე იდგა, ძაღლებიც კი ხმას არ იღებდნენ. ბაბუა ადგილს ვერ პოულობდა, არც ბებია იყო მშვიდად. მეზობლებსაც გაეგოთ, როგორც სოფელში იციან, ყველა ელოდა, რა მოხდებოდა. ბლის ხესთან ბავშვები ატუზულიყვნენ, თითისწვერზე შემდგარნი, ქართაში იჭყიტებოდნენ.

– ბავშვებო, წადით იქით, რა არის აქ საყურებელი! გაიყვანეთ ეს ბავშვები, – იყვირა ვეტექიმმა, რომლის მოსვლა ვერავინ შენიშნა. მან თბილი წყლის მოტანა ითხოვა. ამასობაში, თამთამ ბავშვები ეზოში გაიყვანა, ზოგი ჰამაკში მოკალათდა, ზოგიც კომშის ხეზე დაკიდულ საქანელაზე.

,,ხომ არაფერი დაემართება ,,პირჩეს", ან ექიმი რის გაკეთებას უპირებს?" – ამ ფიქრებში იყო თამთა, რომ საქონლის განწირული ბღავილი გაიგონა. როგორ აღმოჩნდა ქართასთან, თვითონაც არ ახსოვს. ვერ მიხვდა, ასე, თავგადაგდებული რატომ იწვა ,,პირჩე" თივაზე. მუცელი დაჩუტვოდა, თითქოს დაპატარავებულიყო, თვალები დახუჭული ჰქონდა. თითქოს ჩასძინებია, რომ სიზმარში თავისი ახალშობილი ხბო – დედის ალი და კვალი ნახოსო. მერე, ხაოიანი ენით გალოკოს, რძით დაბერილი ცურები პირში ჩაუდოს და მისი კუნტრუშით დატკბეს.

ექიმი ჩვილ ხბოს სხეულს უწმენდდა. მიუხედავად სიცხისა, ხბო კანკალებდა, თითქოს უცხოობდა ახალ გარემოს და ჰაერს. წამოდგომას ცდილობდა, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა. ლამაზი იყო და, ზუსტად, ისეთი ნიშანი ჰქონდა შუბლზე, როგორც დედას.

– გოგოა, თქვა ექიმმა, – ამას რძე უნდა, ბავშვი გამაყოლეთ, საწოვარას და რძეს გამოვატან.

თამთა ხეს იყო მიყუდებული და ქვითინებდა. ბავშვები კიდევ ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ რა მოხდა. ბებია თამთას გამო უფრო ნერვიულობდა.

– მალე გაიზრდება, ბაბუ, აი, ნახავ, ამასაც ,,პირჩე" დავარქვათ, ეს ხომ შენი საჩუქარია, რომელიც შენმა ,,პირჩემ" გაჩუქა.

თამთა, დაღონებული და ნამტირალევი, თავის ოთახში საწოლზე წამოწვა. ,,ნეტავ არ ჩამოვსულიყავი!" – ფიქრობდა. მალე ჩაეძინა. სიზმარში ეს საშინელი კადრები განმეორდა. ხმა მოესმა – ხბოს ხმა... თითქოს დედას უხმობდა. მოშივნოდა. დედის თბილი და ბუნჩულა ცური, დედის ალერსი უნდოდა. ნახევრად მძინარე წამოიჭრა ზეზე თამთა, მეზობლები გაკრეფილიყვნენ, აღარც ბავშვები ჩანდნენ არსად.

– ნუღარ ნერვიულობ, ალბათ ბედისწერა ასეთია. ამ ხბოს მიხედვა უნდა, გამახარებ, თუ მომეხმარები, აი საწოვარა, ბოთლში რძე ჩავუსხათ და შენი ხელით აჭამე.

ხბო ძლივს დაბანცალებდა, თითქოს რაღაცას ეძებდა, ხშირად თივას ყნოსავდა, ლამაზ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. მერე ბებიასთან მივიდა, წინსაფრის ღეჭვა მოინდომა, მაგრამ საამისოდ, საკმაოდ პატარა იყო. ამის შემხედვარე, თამთა თითქოს გამოფხიზლდა, ბოთლი სამზადში მოიძია, რძით გაავსო, საწოვარა მოარგო და ხბოს პირთან მიუტანა. ,,ჩემო პატარა, მე მოგივლი, მე მოგიტან რძეს, ბალახს, წყალს. აი ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება." ხბო ჯერ ვერ მიხვდა, რა უნდა გაეკეთებინა, მაგრამ როცა გემო გაუსინჯა, ზრდასრულივით, ყოჩაღად ქაჩავდა საწოვარას.

ორი თვე გაატარა სოფელში თამთამ. ამ ხნის მანძილზე მზრუნველობას არ აკლებდა ხბოს. სოფელში ხუმრობდნენ, ხბომ ბღავილი არ იცის, თამთა ლაპარაკს დააწყებინებსო, მაგრამ როცა თბილისში წასვლის დრო მოახლოვდა, თამთა საგონებელში ჩავარდა. რას არ გაიღებდა, პატარა ,,პირჩე" დედის გვერდით მორბენალი და ბედნიერი ენახა. ხბო ყველგან უკან დაჰყვებოდა – ბოსტანში, ყანაში, გრძელ შუკაში.

და დადგა გამგზავრების დღეც. თამთა ნათესავებთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო დიდ ქალაქში. ტანსაცმელს, ათასგვარ წვრილმანს უგულოდ, უხალისოდ ალაგებდა. ბებიას და ბაბუას დაუბარა – ყურადღება მიაქციეთ, ხბო სხვებისგან განსხვავებულია, ასეთ მოფერებას არ უნდა მიმეჩვია, ვინ გაუწევს ჩემს მაგივრობსო. დიდხანს ეფერებოდა თამთა ,,პირჩეს", უკოცნიდა შუბლს, ბრიალა თვალებს. ხბო ისე იღებდა ამ ყველაფერს, როგორც ადამიანი. იდგა ამაყი, ლამაზი, უზრუნველი და უყურებდა, თუ როგორ ჯდებოდა თამთა რაღაც ყუთში, მერე, ეს ყუთი, თანდათან, დაპატარავდა. თამთა ხელს უქნევდა. ყუთი უფრო და უფრო პატარავდებოდა და მალე თვალს მიეფარა, სადღაც გაქრა.

ცხოვრება ჩვეული რიტმით მიედინებოდა. თამთა თანატოლებს შემოიკრებდა და უყვებოდა სოფელში მომხდარ ამბებს. ,,პირჩეს" ამბავი ყველამ განიცადა. თამთა მათ ჰპირდებოდა, რომ მომავალ ზაფხულს, აუცილებლად გააცნობდა ,,პირჩეს".

ერთ დღეს არასასიამოვნო დეპეშა მიიღეს: ბაბუა ინსულტით გარდაცვლილიყო... თამთა გაოგნებული იყო, დაუჯერებლად მიაჩნდა ბაბუას ასე უეცრად გარდაცვალება.

სოფელში თოვლი დახვდათ, ციოდა... ბებია გატეხილი და ჯანგამოცლილი ჩანდა. ახლა, ყველას საფიქრალი მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ, იყო ფიქრი იმაზე, რა ეშველებოდა ჭარმაგ ბების და არცთუ პატარა კარ-მიდამოს. უფროსები ჩუმად საუბრობდნენ, იყო მისამძიმრება, მისვლა-მოსვლა, მოთქმა და ტირილი. თამთა გულში ვერ იტევდა სევდას, დროდადრო, თვალს შეავლებდა ბაბუის ცხედარს, ჩუმად ყლაპავდა ცრემლებს. დაკრძალვის დღეს, თითქოს ერთბაშად იჩინა თავი გულში დაგროვილმა მწუხარებამ, გოგონა ცხედარს დაემხო და ხმამაღლა მოსთქვამდა, მთელი სხეული უკანკალებდა, სუდარა, რომელიც არც ერთხელ არ გადაუხდიათ, ნელ-ნელა ჩამოსწია... სულ სხვანაირი იყო მისი საყვარელი ბაბუა, ცივი და ფერმკრთალი, მაგრამ მისთვის ყველაზე საყვარელი... ბები რატომ დატოვეო – უსაყვედურა. მერე შუბლზე აკოცა და იქვე მდგარ ბებიას ჩაეხუტა. ყველა ტიროდა.

– დიდი ამაგი აქვს, მისი გაზრდილი ხარ, ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს! – ლოცავდნენ თამთას. მერე თითქოს დამშვიდდა. პროცესიას ხმის ამოუღებლად მიჰყვებოდა... ერთ კვირაში როგორ შეიცვალა ყველაფერი... რა ეშველება მარტოდ, ბებიას...

საღამოს ბაბუას ოთახში შევიდა, ჯერ კიდევ მისი სუნი ტრიალებდა ირგვლივ... ბევრჯერ მოენატრება ეს სუნი, ბაბუს მოფერება, მასთან ერთად ნამღერი ,,ჩელა"... დაღლილ თამთას ჩასთვლიმა...

უფროსები ისევ ბჭობდნენ, ალაგებდნენ, მეზობლები ირეოდნენ...

ღამით შფოთით ეძინა, დილას კი საქონლის ბღავილმა გააღვიძა.

,,პირჩე"! ვის ეცალა შენთვის! როგორ ერთხელ არ გნახე," – დაიდანაშაულა თავი თამთამ, სწრაფად გადაიცვა ტანსაცმელი და საქონლის სადგომისკენ გასწია. ,,პირჩე" თითქოს გაზრდილიყო, მოსუქებულიც ეჩვენა. მოეფერა, თივა და წყალიც შეუტანა. ბაბუას მეწველი დედა ძროხა ეყიდა ,,პირჩესთვის", ისიც თამთას მისჩერებოდა, ალბათ უცხოობდა.

– რა გეშველებათ ახლა თქვენ? – ამოიოხრა თამთამ. ეს შეკითხვა უტრიალებდა შვილებსაც. ბებიას, როგორც იქნა, შეჰბედეს, თბილისში გაჰყოლოდა შვილებს, რომ სამსახურია, ოჯახია და ვერ გადმოსახლდებოდნენ სოფლად. ბებია, ჯერ, დიდ უარზე იყო, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, მიხვდა, ამხელა ოჯახს მარტო რომ ვერ გაუძღვებოდა. თამთა ყველაფერს ისმენდა, ჩუმად ყლაპავდა ყელში მობჯენილ ცრემლებს.

მეოთხე დღე თენდებოდა, რაც ბაბუა დაკრძალეს, ციოდა და თამთა ჯერ ისევ იწვა, სულ ფიქრებში იყო. ეზოში ხმამაღალი საუბარი ისმოდა, მერე ქათმები აწიოკდნენ, მეზობელს მიჰყავდა მათი ქათმები. შუადღით კაცები მოვიდნენ და ქართადან ღორები გამოდევნეს, გვერდით მეზობელმა თხები გაიყვანა, ნალიიდან გოდრებით სიმინდის ტაროები ჩამოჰქონდათ და ურიკით სადღაც ეზიდებოდნენ.

საღამოს კი, ვიღაც ორი კაცი მოვიდა, ძროხას და ,,პირჩეს" დაუწყეს თვალიერება. თამთა მიხვდა, რაც ხდებოდა: მის ,,პირჩეს" ვიღაც უცხოები სადღაც წაიყვანდნენ. ხბოს ყელზე შემოხვია ხელი და ტირილი წასკდა. ხბო ისეთი მორჩილი იყო, თითქოს გრძნობდა, რომ განშორება გარდაუვალი იყო. ხან თამთას, ხანაც უცხოებს მისჩერებოდა...

– ნუ გეშინია, ბებიკო, – თავზე ხელი გადაუსვა ბებიამ თამთას, – ესენი მოკეთეები არიან, ჩალას და თივასაც გაიტანენ, გამოაზამთრებენ. ზაფხულში, რომ ჩამოვალთ, შენს ,,პირჩეს" ისევ ნახავ. – ბებიას ხმა გაებზარა და ცრემლი ვერ შეიკავა.

მიერეკებოდნენ ძროხას და თამთას ნაფერებ ,,პირჩეს". თამთას ბებიის კალთაში ჩაერგო თავი და მწარედ ტიროდა. ტიროდა ბებიაც. წკმუტუნებდა მონადირე ძაღლი გიშერა, რომლის ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო...

დღეს, თამთა, აწ უკვე, თამარი, თავად არის ბებია, გარს ახვევია შვილები, შვილისშვილები, მათი სიხარულით ცოცხლობს და ხარობს. ხშირად უყვება შვილისშვილებს ,,პირჩეს" შესახებ... ყველაფერი, რაც სოფელთან აკავშირებს, მისთვის მნიშვნელოვანია. ამბობს, რომ დასანანია, ადამიანს მხოლოდ ერთხელ მოსვლის უფლება რომ ეძლევა ამქვეყნად, რათა უფრო დიდხნას დატკბეს ცხოვრების სიამით.

ბედნიერი და დღეგრძელი იყოს თამთა თავის მოგონებებში!

ახალი წიგნი

ნუნუ სოზიაშვილი-ტაბატაძის ,,სევდის ნაპრალი" ავტორის რიგით მეხუთე წიგნია, მაგრამ, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება, ყველა ავტორის შემოქმედება, ბოლოს, ერთ საინტერესო წიგნად რჩება ლიტერატურის თაროზე. ქ-ნ ნუნუს შემოქმედების რეზიუმესაც, სწორედ, ,,სევდის ნაპრალი" წარმოადგენს.

ნუნუ სოზიაშვილი-ტაბატაძე ვაჟას სწორუპოვარი მთების პირმშოა. განსაკუთრებით, ამ კუთხის შვილთ ახასიათებთ უშუალო, უანგარო და გულწრფელი ურთიერთობები.

ნუნუ სოზიაშვილის თითქმის ყველა ლექსში იგრძნობა, რომ ავტორი უპირველესად ქალია, გულდათუთქული და ცრემლშეუმშრალი დედაა, რომლის გულმაც არაერთგზის ამოიკვნესა. როგორც თვითონ ამბობს – ეს არის შვილდაკარგული დედის უფლება, ღმერთს ცრემლით შეჰღაღადოს და საშველი ითხოვოს...

,,რა არის ნეტავ, გასაოცარი,

თუ ჩემი სული სივრცეებს ითხოვს?!" – კითხულობს პოეტი ქალბატონი და ცდილობს, ოცნების ფრთებით მაინც გაექცეს რეალობას და ჰპოვოს, თუნდაც, დროებითი ნავსაყუდარი. რწმენის ბილიკებს მისდევს და მხოლოდ იქ, ღვთისმშობლის თვალებში ხედავს იმედს, ხვალისას...

ბუნებით თავმდაბალს, მაცხოვრის შობის სასწაული ამ სიტყვებს ათქმევინებს:

,,ქრისტეს გომურში დაბადებით, ბაგათ შობისას,
უბრალოება გვექადაგა კაცთაშორისად,
სიღრმისეულად ქრისტე იგრძნო, – უნდა დამდაბლდე,
გზა სასახლიდან, გაიყვანო უნდა, ბაგამდე..."

ნუნუ სოზიაშვილი-ტაბატაძის შემოქმედებაში ხშირად ისმის რიტორიკული კითხვა ,,რატომ?!" და გრძნობ, რომ მასში ჯერ კიდევ ცოცხლობს დაუეჭვებელი, სპეტაკი, წუთისოფლის უსულგულობით ნირწამხდარი და შეშფოთებული ბავშვი...

,,ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ".

კლარა გელაშვილი – დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ფონდების მცველი, წიგნის რედაქტორი.

,,და მომცა მუზა სულის სალბუნად..."

ნუნუ სოზიაშვილ-ტაბატაძე ,,ფერფლის პოეტთა" საზოგადოების წევრია – ნაზი, კდემამოსილი, ტრადიციული რწმენითა და სულისკვეთებით: ვიდრე ძალიან არ გაუჭირდება, კვნესაც რომ არ დასცდება მის ბაგეებს, არათუ მშველელთა მოსახმობი შეძახილი.

პოეტს არ ეეჭვება, რომ ,,მუზა ნაღმია – ამზიურებს სულის იარებს". ლექსიც სულის იარების სალბუნია და, რომ არა გაუსაძლისი სულიერი ღია ჭრილობები, ნუნუ ტაბატაძეც არ დაწერდა ამ ლექსებს.

ნუნუ სოზიაშვილ-ტაბატაძეს არ შეუძლია, რომ ლექსი არ დაწეროს, ამიტომაც მან შეიძლება, პოეტის სახელი დაიმშვენოს. ლექსის ფორმის დახვეწისა და ორიგინალური რითმების ძიება მისი საქმე არ არის და, რაც მთავარია, თვითონ გაცნობიერებული აქვს:

,,ვერ დავიუნჯე რაში რითმების,
თუმცა, გავები მუზის ხაფანგში, –
ვერ ამოვხსენი პოეზიის იდუმალება..."

ნუნუ სოზიაშვილ-ტაბატაძეს არა აქვს პრეტენზია, იყოს პროფესიონალი პოეტი, ქაღალდთან რითმებით ორიგინალური რიტმული ჟღერადობითა და მეტაფორებით მოლაპარაკე ავტორი. იგი უფრო მთქმელია ,,მათქვამი" (გავიხსენოთ მიხა ხელაშვილის შედევრი: ,,ლექსო, ამოგთქომ, ოხერო!"), ,,მოლექსენი, რომლებიც ასე ძვირფასნი არიან ჩვენთვის – ქართული მთის ტრადიციების თაყვანისმცემლებისათვის. ,,გლოვის მგოსანთა" პოეზიამ შემოგვინახა თუშ-ფშავ-ხევსურთა გულიდან ამოსული სიტყვები, ხვარამზეს ლექსებმა შეგვაგრძნობინა ერთადერთი შეუცვლელი სიყვარულის ძალა, ,,დედის ცრემლზე ამოსული იის" სილამაზეც სხვა შუქით შემოსა. შვილმკვდარი დედის უნაპირო სევდის უნუგეშობით არის ნაკვები მფეთქავი ძარღვი პოეტი ქალისა, რომელსაც ღმერთმა შვებად ლოცვასავით სათქმელი ლექსები უბოძა:

,,როცა აისმა გულში ჩაგხედა,
ისევ აალდა შენში საკირე,
საბედისწეროდ მოადგა ნაპირს...
დაკიდებიხარ ეკლიან ვარსკვლავს
და გზას მიიკლვლევ, როგორც კენტავრი –
უსასრულობის ლეთარგიაში."

ნუნუ სოზიაშვილის ლექსი ,,თვალი გამირბის ზეცადა", რომელიც მოთავსებულია ,,ფოთოლთა რეკვიემში", შევიდა ორტომეულში – ,,ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები ქართულ პოეზიაში".

ნუნუ სოზიაშვილი-ტაბატაძე მოკრძალებული ნაბიჯით უახლოვდება იმ იდუმალ სარკმელს, საიდანაც პოეტური ფერებით აღიქვამს რეალურ სამყაროს.

წარმატებები და სულიერი სიმშვიდე ვუსურვოთ ცხოვრების ბაქანზე, იმედის სხივის მოლოდინით დაღლილ ქალბატონს.

,,არ დამიცლია თასი, იმედის,
მზე აამღერებს მტევანს, ქარვისას..."

თამარ ბარბაქაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

* * *

პოეზია თვითონ სევდისა და სიხარულის საოცარი სინთეზია და ზოგჯერ ჩვენ თვითონვე ვიგონებთ ჩვენივე სულის კაეშანს. ამ კაეშნით ცხოვრობს ნუნუ სოზიაშვილი-ტაბატაძეც და ეს წიგნიც აღსავსეა ტკივილითა და აღმაფრენით, ყველაფერ იმით, რაც თან სდევს შემოქმედის ცხოვრებას. ის კი სხვაგვარად გვიტოვებს თავისი სულის ნაჟურს – ლექსებს, რომლებიც ჩუმად, მოკრძალებით შემოდიან ჩვენს სულში და შემოაქვთ პოეტი ქალის სტრიქონების სურნელი:

,,არ ვიცი, ბედით თუ უბედობით
მივდენი სიტყვებს, როგორც ულაყებს,
მე ჩემს ტკივილებს თვითონ წავიღებ,
თქვენ დაგიტოვებთ ფერმკრთალ სტრიქონებს –
ასე სათუთს და ასე უნაზესს."

პოეტი ქალი თითქოს თავისი სახლის ფანჯრიდან გაჰყურებს სამყაროს, აქედან კი ყველაფერი ისე მოჩანს, როგორც სულის ქურაში ამოხარშული განცდებისა და ფიქრების საოცარი გარდასახვები, როგორც სულიდან ამომავალი მზე, რომელსაც ყველა შესტრფის, როგორც სიცოცხლის საწყისს... და მას შეუძლია, დაინახოს ეს სილამაზე და, არა მარტო, დაინახოს, არამედ სულის უნაზესი სიმებით შეეხოს კიდეც და მშვენიერი სტრიქონები უძღვნას.

მურად მთვარელიძე – მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

რედაქტორი ეკა ბაქრაძე